

შპს „ლურჯი ველი“

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	9
დასკვნის ბოლო გვერდი	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლურჯი ველი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლურჯი ველი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების აღმოუჩენლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა, მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და საადრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება;
- საადრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ანა ოსიყმიშვილი.

ანა ოსიყმიშვილი

მპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით
13 ოქტომბერი, 2022 წ

თბილისი, საქართველო



შპს „ლურჯი ველი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	1,317,414	779,340
ბიოლოგიური აქტივები	5	363,791	462,277
არამატერიალური აქტივები		39,735	13,860
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,720,940	1,255,477
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	1,223,161	754,705
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,134,063	282,650
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	242,113	89,576
საგადასახადო აქტივები	9	45,164	10,672
სულ მიმდინარე აქტივები		2,644,501	1,137,603
სულ აქტივები		4,365,441	2,393,080
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,921,965	1,225,876
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,921,965	1,225,876
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		4,312	1,704
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,312	1,704
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	134,279	282,279
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) რეორგანიზაციის გზით		(617,495)	(318,295)
საწარმოთა შერწყმის ეფექტი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,922,380	1,201,516
სულ კაპიტალი		1,439,164	1,165,500
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,365,441	2,393,080

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს.

დირექტორი:

ზვიად მირიანაშვილი

ბუღალტერი:

ეკა ცანავა

გვერდებზე 9-26 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4.

შპს „ლურჯი ველი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2021წ.	2020წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	2,346,987	1,846,676
თვითღირებულების ხარჯი	13	(2,276,237)	(1,897,724)
საერთო მოგება		70,750	(51,048)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,018,281)	(755,465)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(399,336)	(317,238)
16. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	16	2,206,405	1,877,288
საოპერაციო მოგება		859,538	753,537
ფინანსური ხარჯი	17	(118,466)	(142,972)
შემოსავალი სუბსიდიიდან	18	121,717	182,864
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(72)	(12,681)
უცხოური გაცვლითი კურსის წმინდა მოგება/(ზარალი)		(88,871)	157,945
(მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე		773,846	938,693
მოგების გადასახადი		(52,982)	(469)
პერიოდის (მოგება)/ზარალი		720,864	938,224

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს.

დირექტორი:

ზვიად მირიანაშვილი

ბუღალტერი:

ეკა ცანავა

გვერდებზე 9-26 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4.

შპს „ლორჯი ველი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
ბალანსი 31-დეკ-2019	120,861	263,292	384,153
ცვლილება +/(-)			
კაპიტალის ზრდა / შემცირება	161,418	-	161,418
პერიოდის წმინდა მოგება / ზარალი	-	938,224	938,224
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-	(318,295)	(318,295)
ბალანსი 31-დეკ-2020	282,279	883,221	1,165,500
ცვლილება +/(-)			
კაპიტალის ზრდა / შემცირება	(148,000)	-	(148,000)
პერიოდის წმინდა მოგება / ზარალი	-	720,864	720,864
დივიდენდი	-	(299,200)	(299,200)
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2021	134,279	1,304,885	1,439,164

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს.

დირექტორი:

ზვიად მირიანაშვილი

ბუღალტერი:

ეკა ცანავა

გვერდებზე 9-26 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4.

შპს „ლურჯი ველი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არაპირდაპირი მეთოდი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2021	2020
მოგება დაბეგვრამდე	773,846	938,693
კორექტირება		
ძირითადი საშუალებების ცვეთა (+)	184,650	84,536
ბიოლოგიური აქტივების ცვეთა (+)	9,631	9,256
ამორტიზაცია (+)	2,918	1,638
საპროცენტო ხარჯი (+)	115,012	140,309
საპროცენტო შემოსავალი (-)	(112,309)	(147,725)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(88,871)	157,945
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ზრდა/კლება (-)/+	(152,537)	(61,769)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ზრდა /კლება(-)/+	(851,497)	(235,396)
საგადასახადო აქტივების ზრდა /კლება(-)/+	(34,492)	(7,446)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა /კლება+/-	2,610	(1,381)
გადახდილი მოგების გადასახადი	(52,982)	(469)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(204,021)	878,190
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შემენა +/-	(722,724)	(583,174)
ბიოლოგიური აქტივების გაყიდვა/შემენა +/-	88,855	(369,275)
არამატერიალური აქტივების გაყიდვა/შემენა +/-	(28,793)	-
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(662,662)	(952,449)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა/შემცირება +/-	(148,000)	161,418
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-	(318,295)
გადახდილი დივიდენდი	(299,200)	-
სასესხო ვალდებულებების მიღება/დაფარვა +/-	1,693,386	661,713
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	1,246,186	504,836
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	379,504	430,578
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	88,953	(164,012)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	754,705	488,140
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,223,161	754,705

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს.

დირექტორი: ზვიად მირიანაშვილი
 ბუღალტერი: ეკა ცანავა

გვერდებზე 9-26 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4.

შპს „ლურჯი ველი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	1,317,414	779,340
ბიოლოგიური აქტივები	5	363,791	462,277
არამატერიალური აქტივები		39,735	13,860
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,720,940	1,255,477
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	1,223,161	754,705
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,134,063	282,650
სასაქონლო-მატერიალური უასეულობები	8	242,113	89,576
საგადასახადო აქტივები	9	45,164	10,672
სულ მიმდინარე აქტივები		2,644,501	1,137,603
სულ აქტივები		4,365,441	2,393,080
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,921,965	1,225,876
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,921,965	1,225,876
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		4,312	1,704
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,312	1,704
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	134,279	282,279
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) რეორგანიზაციის გზით		(617,495)	(318,295)
საწარმოთა შერწყმის ეფექტი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,922,380	1,201,516
სულ კაპიტალი		1,439,164	1,165,500
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,365,441	2,393,080

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:



მ. სანაძე

ზვიად მირიანაშვილი

ეკა ცანავა

გვერდებზე 9-26 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4.

შპს „ლურჯი ველი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2021წ.	2020წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	2,346,987	1,846,676
თვითღირებულების ხარჯი	13	(2,276,237)	(1,897,724)
საერთო მოგება		70,750	(51,048)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,018,281)	(755,465)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(399,336)	(317,238)
სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	16	2,206,405	1,877,288
საოპერაციო მოგება		859,538	753,537
ფინანსური ხარჯი	17	(118,466)	(142,972)
შემოსავალი სუბსიდიიდან	18	121,717	182,864
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(72)	(12,681)
უცხოური გაცვლითი კურსის წმინდა მოგება/(ზარალი)		(88,871)	157,945
(მოგება)/ზარალი დაბეგვრამდე		773,846	938,693
მოგების გადასახადი		(52,982)	(469)
პერიოდის (მოგება)/ზარალი		720,864	938,224

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:

ზვიად მირიანაშვილი

ეკა ცანავა

გვერდებზე 9-26 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4.

შპს „ლურჯი ველი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
ბალანსი 31-დეკ-2019	120,861	263,292	384,153
ცვლილება +/-			
კაპიტალის ზრდა / შემცირება	161,418	-	161,418
პერიოდის წმინდა მოგება / ზარალი	-	938,224	938,224
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-	(318,295)	(318,295)
ბალანსი 31-დეკ-2020	282,279	883,221	1,165,500
ცვლილება +/-			
კაპიტალის ზრდა / შემცირება	(148,000)	-	(148,000)
პერიოდის წმინდა მოგება / ზარალი	-	720,864	720,864
დივიდენდი	-	(299,200)	(299,200)
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2021	134,279	1,304,885	1,439,164

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:



ი. ს. ანდუა

ზვიად მირიანაშვილი

ეკა ცანავა

გვერდებზე 9-26 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4.

შპს „ლორჯი ველი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არაპირდაპირი მეთოდი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2021	2020
მოგება დაბეგვრამდე	773,846	938,693
კორექტირება		
ძირითადი საშუალებების ცვეთა (+)	184,650	84,536
ბიოლოგიური აქტივების ცვეთა (+)	9,631	9,256
ამორტიზაცია (+)	2,918	1,638
საპროცენტო ხარჯი (+)	115,012	140,309
საპროცენტო შემოსავალი (-)	(112,309)	(147,725)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(88,871)	157,945
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ზრდა/კლება (-)/+	(152,537)	(61,769)
საგაქრო და სხვა მოთხოვნები ზრდა /კლება(-)/+	(851,497)	(235,396)
საგადასახადო აქტივების ზრდა /კლება(-)/+	(34,492)	(7,446)
საგაქრო და სხვა ვალდებულებების ზრდა /კლება+/-	2,610	(1,381)
გადახდილი მოგების გადასახადი	(52,982)	(469)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(204,021)	878,190
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შემენა +/-	(722,724)	(583,174)
ბიოლოგიური აქტივების გაყიდვა/შემენა +/-	88,855	(369,275)
არამატერიალური აქტივების გაყიდვა/შემენა +/-	(28,793)	-
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(662,662)	(952,449)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა/შემცირება +/-	(148,000)	161,418
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-	(318,295)
გადახდილი დივიდენდი	(299,200)	-
სასესხო ვალდებულებების მიღება/დაფარვა +/-	1,693,386	661,713
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	1,246,186	504,836
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	379,504	430,578
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	88,953	(164,012)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	754,705	488,140
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,223,161	754,705

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 13 ოქტომბერს.

დირექტორი:

ბუღალტერი:

ზვიად მირიანაშვილი

ეკა ცანავა

გვერდებზე 9-26 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-4.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლურჯი ველი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 405117172, დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2015 წლის 17 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქ., კორპ. N1, სართული 6.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	პირადი ნომერი	% წილი
ლევან ლებანიძე	01026001573	25
ზვიად მირიანაშვილი	01006009767	25
თამარ ლებანიძე	01024014985	25
გიორგი ლაჭავა	01007000820	25

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დირექტორთა საბჭოს წევრები არიან:

- დირექტორი/წევრი: ლევან ლებანიძე, 01026001573
- დირექტორი/წევრი: ზვიად მირიანაშვილი, 01006009767
- დირექტორი/წევრი: თამარ ლებანიძე, 01024014985

საანგარიშო პერიოდში კომპანიას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები შესაბამისად.

მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების კონვენციის მიხედვით და მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, რომელიც ეფუძნება რეალურ ღირებულებას. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მიუხედავად Covid-19 ვირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებისა, კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, რის შედეგადაც ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომპანიამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების

შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	5-50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
მანქანა-დანადგარები	5-10
ელექტრონული მოწყობილობები	3-20

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

კომპანია ფლობს არამატერიალურ აქტივს მოცვის კრეფის მართვის პროგრამის სახით.

ბიოლოგიური აქტივები

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ამორტიზაცია ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მრავალწლიანი ნარგავების ჯგუფი იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ამორტიზაციის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 40-50 წელს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების

სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით.

კომპანია შემოსავალს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილში, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას:

როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

როდესაც კომპანია სხვა მხარეს (მაგალითად, დილერს ან დისტრიბუტორს) აწვდის პროდუქციას საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვის მიზნით, კომპანია აფასებს, აღნიშნულმა სხვა მხარემ მოიპოვა თუ არა პროდუქციაზე კონტროლი დროის მოცემულ მომენტში.

სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტი არის სახელმწიფოს მიერ საწარმოსათვის გაწეული დახმარება რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული, წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი მიღებული იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტების მიღება დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, მისი აღიარება ხორციელდება ასეთი პირობების დაკმაყოფილების გრანტიის არსებობის შემთხვევაში. როდესაც გრანტი შეეხება ხარჯების მუხლს, მისი აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა გრანტის სისტემური მისადაგებისთვის იმ ხარჯებთან, რომელთა ასანაზღაურებლად არის განკუთვნილი. როდესაც გრანტი შეეხება აქტივს, მისი აღიარება ხორციელდება გადავადებული შემოსავლის სახით და აისახება მოგებაში ან ზარალში თანაბარი რაოდენობებით შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების განმავლობაში.

როდესაც კომპანია იღებს არაფულად გრანტს, ეს აქტივი და გრანტი აისახება მიღებული არაფულადი აქტივების მთლიანი სამართლიანი ღირებულებით.

სახელმწიფო გრანტის აღიარება - შეფასება

გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება;

გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ უნდა აღიარდეს, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება;

თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი უნდა აღიარდეს როგორც ვალდებულება.

საწარმომ გრანტები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო გრანტი ფულადი ფორმის არის, მისი რეალური ღირებულება ხშირ შემთხვევაში, დაემთხვევა ნომინალურ ღირებულებას.

იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი,

რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს ფასეულობების შემენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო ფასეულობების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვებისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრანზაქციების ექვემდებარება დაყენება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

შპს „ლურჯი ველი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებები	ელექტრონული მოწყობილობები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება									
ბალანსი 31 დეკ 19	38,616	-	206,402	7,448	28,818	-	35,942	15,273	332,500
დამატება	94,384	37,084	221,516	43,434	158,375	47,785	38,506	4,788	645,870
შემცირება	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკ 20	133,000	37,084	427,918	50,882	187,193	47,785	74,448	20,061	978,370
დამატება	-	458,088	491,501	-	109,709	-	26,482	127,118	1,212,897
შემცირება	-	(490,171)	-	-	-	-	-	-	(490,171)
ბალანსი 31 დეკ 21	133,000	5,000	919,419	50,882	296,902	47,785	100,930	147,179	1,701,096
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 31 დეკ 19	-	-	(33,998)	(124)	(5,827)	-	(6,619)	(5,231)	(51,798)
ცვეთა	-	-	(27,102)	(9,453)	(26,152)	(4,778)	(13,110)	(3,941)	(84,536)
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-	-	(19,200)	(9,759)	(32,710)	-	(857)	(170)	(62,696)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკ 20	-	-	(80,300)	(19,336)	(64,689)	(4,778)	(20,586)	(9,342)	(199,030)
ცვეთა	-	-	(90,917)	(10,176)	(37,200)	(9,557)	(19,891)	(16,909)	(184,650)
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკ 21	-	-	(171,217)	(29,513)	(101,889)	(14,335)	(40,476)	(26,251)	(383,681)
ბალანსი 31 დეკ 19	38,616	-	172,404	7,324	22,991	-	29,324	10,042	280,702
ბალანსი 31 დეკ 20	133,000	37,084	347,618	31,546	122,504	43,007	53,862	10,719	779,340
ბალანსი 31 დეკ 21	133,000	5,000	748,202	21,370	195,013	33,450	60,453	120,928	1,317,415

მანქანა-დანადგარები მოიცავს ასევე ლიზინგით მიღებული აქტივებს. 2020 წლის 5 ივლისს კომპანიასა და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“-ს შორის დაიდო სალიზინგო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ლიზინგის მიმღების (შპს „ლურჯი ველი“) მიერ შერჩეული ქონების შეძენას. ქონება შეიძინა ლიზინგის გამცემმა (შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია") და კომპანიას გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით. ლიზინგის მიმღებს გადაეცა 2 ძირითადი საშუალება რომელიც არის კენკროვანი ხილის შემგროვებელი მანქანები.

ლიზინგით მიღებული მანქანა-დანადგარები ცალკეული სახით მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებები
ღირებულება	
ბალანსი 31 დეკ 19	-
დამატება	47,785
შემცირება	-
ბალანსი 31 დეკ 20	47,785
დამატება	47,785
შემცირება	-
ბალანსი 31 დეკ 21	47,785

შპს „ლურჯი ველი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დაგროვილი ცვეთა	
ბალანსი 31 დეკ 19	-
ცვეთა	(4,778)
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-
ჩამოწერა	
ბალანსი 31 დეკ 20	(4,778)
ცვეთა	(9,557)
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-
ჩამოწერა	
ბალანსი 31 დეკ 21	(14,335)
ბალანსი 31 დეკ 19	-
ბალანსი 31 დეკ 20	43,007
ბალანსი 31 დეკ 21	33,450

5. ბიოლოგიური აქტივები

	ლურჯი მოცვის ნერგები
ღირებულება	
ბალანსი 31 დეკ 19	110,549
დამატება	387,648
შემცირება	-
ბალანსი 31 დეკ 20	498,198
დამატება	-
შემცირება	(100,025)
ბალანსი 31 დეკ 21	398,173
დაგროვილი ცვეთა	
ბალანსი 31 დეკ 19	(8,291)
ამორტიზაცია	(9,256)
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	(18,373)
ჩამოწერა	-
ბალანსი 31 დეკ 20	(35,920)
ამორტიზაცია	(9,631)
რეორგანიზაციის გზით საწარმოთა შერწყმის ეფექტი	-
ჩამოწერა	11,169
ბალანსი 31 დეკ 21	(34,381)
ბალანსი 31 დეკ 19	102,258
ბალანსი 31 დეკ 20	462,277
ბალანსი 31 დეკ 21	363,791

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	1,142,288	753,430
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	80,873	1,275
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,223,161	754,705

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გადახდილი ავანსები	1,132,834	282,519
მოთხოვნები ძირითადი საქმიანობიდან	1,228	131
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,134,062	282,650

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან. კერძოდ, ლურჯი მოცვის რეალიზაციიდან.

სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საკრედიტო ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ბალანსები რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	387,736	193,147
ვადაგადაცილებული და ინდივიდუალურად გაუფასურებული ბალანსები	746,326	89,503
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,134,062	282,650

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მასალები	136,631	56,018
საწვავი და საპოხი საშუალებები	2,577	1,264
სპეც ტანსაცმელი	2,667	1,446
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა	100,238	30,848
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	242,113	89,576

9. საგადასახადო აქტივი

2021 წლის 28 აპრილს შემოსავლების სამსახურის #13168 ბრძანების მიხედვით კომპანიაში დაიწყო შპს „ლურჯი ველი“-სა და მასთან შერწყმული კომპანიების კამერალური საგადასახადო შემოწმება. შესამოწმებელი პერიოდი განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის აპრილამდე საანგარიშგებო პერიოდები.

შემოწმების შედეგების მიხედვით შპს „ლურჯი ველი“-ს და მასთან შეწყმულ კომპანიებს დაერიცხა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი 50,438 ლარის ოდენობით, სსკ-ის 275 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაერიცხა ჯარიმა, რომელიც შეადგენდა 25,204 ლარს და საურავი 17,415 ლარის ოდენობით.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	პირველადი თანხა	გასაჩივრების შემდგომ გადაწყვეტილებით დარჩენილი თანხა	სხვაობა პირველად და გასაჩივრების შემდგომ თანხებს შორის
გადასახადი ან/და სანქცია			
საშემოსავლო გადასახადი	50,438	50,438	-
ჯარიმა	25,204	-	25,204
საურავი	17,415	20,606	(3,191)
სულ	93,057	71,044	22,013

შპს „ლურჯი ველი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „ლურჯი ველი“-ს მიერ გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება. რის შემდგომაც, 2021 წლის 2 დეკემბრის ბრძანების მიხედვით, შემოსავლების სამსახურმა სრულად შეამცირა დარიცხული ჯარიმის თანხა.

რაც შეეხება საგადასახადო აქტივს, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 45,158 ლარს. ხოლო, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10,672 ლარს.

10. გრძელვადიანი სესხები

	31-დეკ-2021	31-დეკ-20
მიღებული სესხის ძირი ლარში	2,921,965	1,225,876
სულ მიღებული სესხები	2,921,965	1,225,876

ბანკის სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონებით. მიღებული სესხების მიზნობრიობებია: ელექტრო ენერგიის გაყვანილობა, ძირითადი საშუალებების შეძენა, შენობების მოწყობა, ნერგების შეძენა, ინფრასტრუქტურის მოწყობა, ნიადაგის მომზადება, სარწყავი სისტემების მოწყობა და ა.შ. კომპანიას 2019 წლის 23 სექტემბრამდე სესხები ქონდა მიღებული სს „ტერაბანკი“-სგან, 2019 წლის 23 სექტემბერს მოხდა მოცემული სესხების გადატანა სს „საქართველოს ბანკში“, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე და კომპანიას სს „ტერაბანკი“-ს მიმართ ვალდებულება სრულად დაიფარა. 2020 წლის ბოლოს სესხების ჯამური ღირებულებაა 1,225,876 ლარი. ხოლო, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხის ძირი თანხა შეადგენს 2,921,965 ლარს.

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 120,861 ლარს. 2019 წლის მდგომარეობით ცვლილება საწესდებო კაპიტალში არ დაფიქსირებულა. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა შერწყმის შედეგად 281,418 ლარით. ამასთანავე, 2020 წლის 30 ოქტომბერს, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 120,000 ლარით. ცვლილებების შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 282,279 ლარს. რაც შეეხება 2021 წელს, საწესდებო კაპიტალში მოხდა ცვლილება. კერძოდ, შემცირდა 148,000 ლარით. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 134,279 ლარს.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2021	2020
შემოსავალი ლურჯი მოცვის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციიდან	1,352,285	1,114,557
შემოსავალი ლურჯი მოცვის ექსპორტზე რეალიზაციიდან	985,456	727,806
სხვა შემოსავალი	9,246	4,313
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2,346,987	1,846,676

13. თვითღირებულების ხარჯი

	2021	2020
მოცვის თვითღირებულება	2,276,237	1,897,724
სულ თვითღირებულების ხარჯი	2,276,237	1,897,724

თვითღირებულების ხარჯი წარმოადგენს შემენილი და დაკრეფილი მოცვის ჩამოწერის ღირებულებას. დაკრეფილი მოცვის ღირებულება წარმოიქმნა ნაყოფის მომცემა კულტურებიდან მოსავლის აღების მომენტში.

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	335,932	326,500
ცვეთა და ამორტიზაცია	151,369	64,500
შეწამვლის ხარჯები	70,979	49,763
საკომისიო ხარჯები	14,396	36,513
გაშენების ხარჯი	93,326	37,221
საკონსულტაციო ხარჯები	29,918	34,346
მივლინების ხარჯები	31,860	26,940
ბაღის მოვლის ხარჯი	30,670	22,508
იჯარის ხარჯი	44,610	20,155
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	22,003	15,995
საგადასახადო ხარჯები	10,404	10,952
სატრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	13,050	9,719
კომუნალური ხარჯები	12,846	8,803
სამეურნეო ხარჯი	10,443	8,377
საკომუნიკაციო ხარჯები	5,720	5,789
საექსპლუატაციო ხარჯები	5,719	4,857
ტრანსპორტირების ხარჯი	10,252	4,648
საკანცელარიო ხარჯები	718	1,646
მცირეფასიანი საქონლის და შრომის იარაღის ხარჯი	4,937	862
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	119,129	65,371
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,018,281	755,465

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
მოცვის მკრეფავების ხელფასის ხარჯი	155,875	131,781
შესაფუთი მასალის ხარჯი	71,040	87,548
კრეფის ბუნებრივი დანაკარგები	11,607	44,444
ცვეთის ხარჯი	45,830	30,930
სხვა მარაგების ჩამოწერის ხარჯი	16,914	15,032
სამედიცინო დამცავი მასალების ხარჯი	18	2,769
სხვა ხარჯი	9,191	4,734
ზარალი ნერგების ჩამოწერის მიხედვით	88,855	-
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	399,330	317,238

16. სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება

	2021	2020
შემოსავალი ნაყოფის მომცემა კულტურებიდან	2,206,405	1,877,288
სულ სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარება	2,206,405	1,877,288

17. ფინანსური ხარჯი

	2021	2020
სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	115,012	140,308
ლიზინგით აღებულ აქტივზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	2,750	2,664
სესხზე დარიცხული პირგასამტეხლო ხარჯი	704	-
სულ ფინანსური ხარჯი	118,466	142,972

18. შემოსავალი სუბსიდიიდან

	2021	2020
სააგენტოსგან მიღებული პროცენტის სუბსიდია ეროვნული ვალუტის სესხზე	112,309	147,725
ლიზინგით მიღებული აქტივის თანადაფინანსება	1,136	24,612
კოვიდის პანდემიისთან დაკავშირებულის სახელმწიფო სუბსიდია	8,272	10,527
სააგენტოსგან მიღებული პროცენტის სუბსიდია უცხოური ვალუტის სესხზე	-	-
სულ სახელმწიფო გრანტებიდან მიღებული შემოსავლები	121,717	182,864

19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი. აქედან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- დასაქმებულის შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შინაარსი	ტრანზაქციის მოცულობა	ტრანზაქციის მოცულობა
		2021	2020
მენეჯმენტი	შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	147,933	134,167
დამფუძნებლები	საწესდებო კაპიტალის შემცირება	148,000	120,000

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები არ გააჩნია.

21. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 13 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

2022 წლის 12 აგვისტოს ჩატარდა პარტნიორთა კრება, სადაც გადაწყდა შპს „ლურჯი ველი“-ს პარტნიორებზე დივიდენდის განაწილება 500,000 ლარის ოდენობით.

2022 წელს დამტკიცდა ორგანიზაციის ახალი სტრუქტურა. კერძოდ, გაუქმდა რამდენიმე მენეჯერული პოზიცია და სტრუქტურას დაემატა პლანტაციის ხელმძღვანელის პოზიცია.